დანართი 2

პროგრამის სახელწოდება: ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში

(საერთაშორისო, ინტერდისციპლინური ინგლისურენოვანი პროგრამა)

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი, სწავლების ძირითადი დარგი: **ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში**

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: კობა თურმანიძე, მარინე ჩიტაშვილი

უცხოელი ხელმძღვანელი: პროფესორი სტივენ ჯონსი, რუსეთის და ევრაზიის კვლევების კათედრის პროფესორი, მაუნტ ჰოლიოკის კოლეჯი, მასაჩუსეტსი, აშშ.

პროგრამას ადმინისტრირებას უწევს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, დირექტორი – პროფესორი მარინე ჩიტაშვილი.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება - პროგრამის მიზნები და ამოცანები:

სამაგისტრო პროგრამის მთავარი მიზანია სამხრეთ კავკასიის რეგიონის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის შესწავლა და კვლევის განვითარება. Aამ მიზნის მისაღწევად პროგრამა ინტეგრირებულად უდგება ტრანსფორმაციის კვლევებს. ინტერგირებულ მიდგომაში იგულისხმება: 1) ტრანსფორმაციის პროცესების განხილვა სხვადასხვა დისციპლინის კუთხით, როგორებიცაა პოლიტიკური მეცნიერება, საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკა, სოციოლოგია და ისტორია, 2) კურიკულუმში თეორიული, უნარებზე ორინეტირებული და კვლევითი კურსების გაერთიანება. პროგრამის კიდევ ერთი ამოცანაა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის აკადმიური რესურსების გაცვლისა და კვლევითი თანამშრომლობის ხელშეწყობა.

პროგრამის შედეგი:

პროგრამის წარმატებით დასრულება საშუალებას მისცემს სტუდენტს მოახდინოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტკური ტრანსფორმაციის შესახებ შეძენილი ძირითადი თეორიული მიდგომების ცოდნის ინტეგრირება გამოყენებითი კვლევისა და კომუნიკაციის უნარებთან. ამრიგად, პროგრამა მოამზადებს მომავალ პრაქტიკოსებს, ვინც გეგმავს გახდეს მკვლევარი, პოლიტიკისა და სტრატეგიის განმსაზღვრელი ექსპერტი, საჯარო მოხელე, პროფესიონალი, რომელიც იმუშავებს ეროვნულ და ადგილობრივ წარმომადგენლობით ინსტიტუტებში და/ან არასამთავრობო ორგანიზაციებში.

პროგრამის სტრუქტურა:

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი და ეძლევა ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისი დიპლომის დანართი. სწავლის ხანგრძლივობაა 1.5 წელიწადი (18 თვე - 2009 წლის 1 სექტემბერი - 2011 წლის 28 თებერვალი), ანუ ოთხი აკადემიური სემესტრი (თითოეული სემესტრი - 15 კვირა). ხარისხის მინიჭების პირობაა 120 კრედიტის (ECTS) დაგროვება სასწავლო კურსებით (80 კრედიტი), კვლევითი სემინარითა და პრაქტიკით (10 კრედიტი), სამაგისტრო შრომით (30 კრედიტი).

სასწავლო გეგმა

№	**სალექციო კურსის / სემინარის დასახელება**	**კურსის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი***	**კრედიტების რაოდენობა ECTS**
1.	აკადემიური წერა და პრეზენტაციის უნარები	ერთთვიანი მოსამზადებელი სავალდებულო კურსი (სექტემბერი)	ჩათვლა
2.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები / სტატისტიკა	ერთთვიანი მოსამზადებელი სავალდებულო კურსი (სექტემბერი)	ჩათვლა
3.	კვლევის მეთოდები: 3.1) სოციალური მეცნიერებების ფილოსოფია; 3.2) ვისებრივი კვლევის მეთოდები	სავალდებულო (პირველი სემესტრი)	10
4.	ეკონომიკის შესავალი	სავალდებულო (პირველი სემესტრი)	10
5.	პოლიტიკის ანალიზი	სავალდებულო (პირველი სემესტრი)	5
6.	საჯარო საერთაშორისო და საერთაშორისო ადამიანის უფლებების სამართალი	სავალდებულო (პირველი სემესტრი)	5
7.	ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში	სავალდებულო (პირველი სემესტრი)	10
8.	შედარებითი პოლიტიკა: ავტორიტარიზმიდან არშემდგარ დემოკრატიამდე	არჩევითი** (მეორე სემესტრი, A ბლოკი)	10
9.	საგარეო პოლიტიკის ანალიზი	არჩევითი (მეორე სემესტრი, A ბლოკი	10
10.	კულტურა და იდენტობა გლობალიზირებულ მსოფლიოში	არჩევითი (მეორე სემესტრი, A ბლოკი	10
11.	საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები	არჩევითი (მეორე სემესტრი, A ბლოკი	10
12.	განვითარების პოლიტიკა: თეორიული და ინსტიტუციონალური ასპექტები	არჩევითი (მეორე სემესტრი, B ბლოკი	10
13.	საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში	არჩევითი (მეორე სემესტრი, B ბლოკი	10
14.	პოსტ-კომუნისტური ტრანსფორმაციის პოლიტიკა***	არჩევითი (მეორე სემესტრი, B ბლოკი	10
15.	სოციალური პოლიტიკა***	არჩევითი (მეორე სემესტრი, B ბლოკი	10
16.	საბჭოთა და პოსტ-საბჭოთა ისტორია	არჩევითი (მეორე სემესტრი, B ბლოკი	10
17	განვითარების პოლიტიკის ანალიზი	არჩევითი (მეორე სემესტრი, B ბლოკი	10
18.	სტაჟირება	სავალდებულო (მესამე სემესტრი)	10
19	კვლევითი სემინარი (სამაგისტრო ნაშრომის კვლევასთან	სავალდებულო (მეოთხე სემესტრი)	**5**

* პირველ აკადემიურ წლის სექტემბერში სტუდენტები გადიან 2 სავალდებულო მოსამზადებელ კურსს ერთი თვის განმავლობაში. მოსამზადებელ კურსებს კრედიტი არ ენიჭებათ. პირველ სემესტრში სტუდენტები გადიან მხოლოდ სავალდებულო კურსებს და უნდა აგროვონ 40 კრედიტი.

** მეორე სემესტრში სტუდენტებს აქვთ მხოლოდ არჩევითი კურსები და უნდა აირჩიონ ორ-ორი კურსი თითოეულ ბლოკიდან (ბლოკი A და ბლოკი B), მთლიანობაში 4 არჩევითი კურსი (თითოეულ 10 კრედიტიანი) და მთლიანობაში აგროვონ 40 ECTS კრედიტი.

*** ზოგიერთი სასწავლო კურსი შეიძლება ჩატარდეს ინტენსიური კურსის სახით მესამე სემესტრის პირველ ნაწილში.

	დაკავშირებით)		
20	სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა	სავალდებულო (მეოთხე სემესტრი)	**25**
	ჯამი****		**120**

დასაქმების პერსპექტივა

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ:

- დასაქმდნენ სამთავრობო, ან არასამთავრობო ადგილობრივ/საერთაშორისო ორგანიზაციებში როგორც პოლიტიკის ანალიტიკოსები - სფეროს სპეციალისტები;
- აწარმოონ კვლევითი საქმიანობა, ან დაიკავონ აკადემიური თანამდებობა უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებში
- გააგრძელონ სწავლა საზღვარგარეთ, დასავლეთი უნისვერსიტეტებში სამაგისტრო, ან სადოქტორო პროგრამებზე.

სასწავლო რესურსები

პროგრამის პირველი წელიწადი (2 სემესტრი) მოიცავს სასწავლო კურსებსა და სემინარებს, რომელთა ადმინისტრირებაც სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბაზაზე ხორციელდება. ცენტრი მდებარეობს თსუ-ს მეორე კორპუსის შენობაში. ცენტრი აქტიურად არის ჩართული საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებში და აღჭურვილია სასწავლო პროცესისათვის საჭირო თანამედროვე რესურსებით:

- საკლასო ოთახი, კომპიუტერითა ფა პროექტორით;
- სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბიბლიოთეკა თანამედროვე და კლასიკური სამეცნიერო ლიტერატურის სოლიდური ფონდით (6000 ტომი); სავალდებულო და დამხმარე საკითხავი ლიტერატურის კრებულებით; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრში მომზადებული საგანმანათლებლო მასალით;
- კომპიუტერული კლასი, რომელიც ჩართულია ინტერნეტში და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია აკადემიური ჟურნალების ქსელი და ელექტრონული არქივები (EBSCOHost, Cambridge University Journals);
- მინი სტამბა, რომელიც აღჭურვილია ქსეროქსით, პრინტერებითა და რიზოგრაფით და გამოიყენება სასწავლო პროცესისათვის.

დაფინანსება

პროგრამაზე მიღებული 9 სუკეთესო კანდიდატის (3 ქართველი, 3 სომეხი, 3 აზერბაიჯანელი) სწავლის საფასურს სრულად აანაზღაურებს სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (OSI, HESP) გრანტი. გამოცდების შედეგების მიხედვით მინიმალური ქულის დაკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტები ჩაირიცხებიან პროგრამაზე, თუ თავად გადაიხდიან სწავლის

**** პროგრამის ხანგრძლივობაა 18 თვე შესვენებების გარეშე (4 სემესტრი 2 აკადემიური წლის განმავლობაში). სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი უზრუნველყოფს საცხოვრებელ სტიპენდიებს რეგიონული სტუდენტებისთვის სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან 10 თვის განმავლობაში. მესამე სემესტრის პირველ ნახევარში შესაძლოა ჩატარდეს ზოგიერთი სასწავლო კურსი ინტენსიური კურსის სახით. მესამე სემესტრი ძირითადად ეთმობა სტაჟირებას და სტუდენტს უფლება აქვს სტაჟირება გაიაროს საქართველოში, სომხეთში ან აზერბაიჯანში. მესამე სემესტრის ბოლოს ხდება სამაგისტრო ნაშრომის კვლევითი პროექტის წინასწარი დაცვა. მეოთხე სემესტრი მთლიანად ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებასა და დაცვას. მეოთხე სემესტრის დასაწყისში ტარდება კვლევითი სემინარი სამაგისტრო ნაშრომის კვლევასთან დაკავშირებით და სემესტრის ბოლოს ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომების დაცვა.

საფასურს თსუ-ს სამაგისტრო პროგრამების ღირებულების შესაბამისად (2250 ლარი - 1 სასწავლო წ.). 6 საუკეთესო რეგიონული სტუდენტისთვის (სომეხი, აზერბაიჯანელი) ცენტრი დამატებით დააფინანსებს ყოველთივურ საცხოვრებელ სტიპენდიას მათი თბილისში ყოფნის დროს, ანუ პირველი სასწავლო წლის განმავლობაში (10 თვე).

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები

პროგრამაზე მიღებისათვის მოითხოვება:

- ბაკალავრის ხარისხი ან დიპლომი ნებისმიერ სფეროში; სასურველია, გარკვეული ცოდნა სოციალურ მეცნიერებებში;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- სტანდარტული საგანაცხადო დოკუმენტაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურაში შესვლისათვის;
- სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის საგანაცხადო ფორმის შევსება. საუნივერსიტეტო მოთხოვნების გარდა ცენტრის საგანაცხადო ფორმაში აუცილებელია მოკლე არგუმენტირებული ესსე და მოტივაციის წერილის წარმოდგენა, რომელშიც ასახული იქნება აპლიკანტის სურვილი, მოლოდინი, მოტივაცა და ხედვა თუ რატომ აბარებს ის კონკრეტულად ამ სპეციალობაზე. დამატებით აპლიკანტს შეუძლია წარმოადგინოს ნებისმერი რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ასახავს მის აქტივობას, კვალიფიკაციის დონეს ან სამუშაო გამოცდილებას სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით;
- მაგისტრანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B2 დონეზე. ამ მოთხოვნის შესასრულებლად კანდიდატს შეუძლია წარმოადგინოს შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, სხვა მათი ეკვივალენტური ტესტები), ან ჩააბაროს უცხო ენაში თსუ-ს ენათა ცენტრის მიერ ორგანიზებული სამაგისტრო მისაღები გამოცდა (ენის ტესტი ჩატარდება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ბაზაზე)
- კანდიდატთა საბოლოო შერჩევა ხდება დამატებითი წერითი გამოცდისა და სპეციალურ კომისიასთან გასაუბრების საფუძველზე (საგამოცდო საკითხებისა და შესაბამისი ბიბლიოგრაფიული რეკომენდაციების ნახვა შეიძლება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის ვებგვერდზე. საკითხავი ლიტერატურის ელექტრონული ვერსიის მოთხოვნა შეიძლება დისკებზე ცენტრის ადმინისტრაციისგან).
- გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულის გამოყვანის სტრუქტურა:

    - წერითი გამოცდა სპეციალობაში (40 %) – 22 ივნისი
    - ინგლისური ენის ტესტი - B2 დონე (20%) – 23 ივნისი
    - გასაუბრება (40 %) – 26 ივნისი
    - საერთო სამაგისტრო გამოცდები - უნდა დააკმაყოფილოს მინიმალური მოთხოვნა - ივლისი.

საბუთების მიღება

- 27 აპრილი – 25 მაისი – რეგისტრაცია საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის. დეტალური ინფორმაცია იხ. www.naec.ge
- 15 მაისი - 15 ივნისი, საბუთების მიღება CSS-ში. სამუშაო დღეები, 10:00-18:00 სთ. ამობეჭდილი განაცხადის გარდა, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ელექტრონული საგანაცხადო ფორმაც. განაცხადის ფორმა დევს ცენტრის ვებ-გვერდზე, შესაძლებელია მიღება ცენტრის ადმინისტრაციისგან. თსუ II კორპუსი, IV სართული, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #3, ოთახი #145, 141.

ცენტრის გამოცდების შედეგები გამოცხადდება ივლისის პირველ კვირაში. საბოლოო გადაწყვეტილება პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მიღებული იქნება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ.

ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #3, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსი, IV სართული, ოთახი #141, 145; ტელეფონი: (+995 32) 252781 / 102781; ფაქსი: (+995 32) 29 13 34 ;

ელ. ფოსტა: mmikaberidze@ucss.ge ; www.ucss.ge